COMMENTARY ON THE REPORT OF EXAMINATION AND AUTOPSY OF THE CORPSE OF ILIA CHAVCHAVADZE

კომენტარები ილია ჭავჭავაძის გვამის დათვალიერებისა და გაკვეთის აქტზე

Vakhtang Guruli
Doctor of Historical Sciences
St. Andrews Georgian University
Tbilisi, Georgia
ORCID ID: 0000-0002-6352-7307
(+995) 597 21 20 60; v.guruli@sangu.edu.ge

Introduction

On August 30, 1907, at about 12:00, near the village of Tsitsamuri (Tsitsamuri-Saguramo section) four armed men: **Ivane (Vano) Inashvili, Gigola (Gigla) Berbichashvili, Gigola (Gigo) Modzghvrishvili** and **Pavle Phshavlishvili (Aphtsiauri)** blocked the path of the carriage of Ilia Chavchavadze and his wife Olgha Guramishvili traveling from Tbilisi to Saguramo. Two other terrorists, **Giorgi (Loma) Khizanishvili** and **Lado Pheiqrishvili (Chirikashvili)** were positioned in the forest, on a hill, to the right side of the road, watching the movement of Ilia Chavchavadze's the carriage. Another terrorist Ilia Chavchavadze's coachman T**hevdore (Thedo) Labauri** was sitting on the top seat of the carriage. His job was to stop the carriage. **Iakob Bitharishvili (Bitharashvili)** the bodyguard of Ilia Chavchavadze was killed along with him. Ilia Chavchavadze's wife Olgha Guramishvili was seriously wounded in the head by a rifle buttstock strike.

The Corpse of Ilia Chavchavadze was transported from the crime scene to Saguramo. On August 31, 1907, the doctor of Dusheti Mazra (subdistrict) **Abel Iashvili** examined the corpse, made an autopsy and drew up a corresponding act (report). The autopsy was attended by the investigator of the Dusheti Mazra **V.E. Dilevsky**, witnesses: **Svimon Chikhashvili** and **Vasil Namoradze**, peasants from the village of Guramiantkari. Russian Original and Georgian translation of the examination and autopsy act are presented to the reader.

The examination and autopsy act of the corpse of Ilia Chavchavadze should have been extremely noteworthy for investigation. This didn't happen for number of reasons. N. F. Ilyashenko, the investigator of the case, should have noticed that the results of corpse examination, committed by doctor Abel Iashvili, and conclusion made by the same doctor contradicted each other. The investigator should have realized that neither of four terrorists, that came out of the forest and stopped the carriage, actually killed Ilia. They began to chase Iakob Bitharishvili, who jumped down from the top seat of the carriage, and eventually killed him. As soon as the carriage stopped, Ilia stood up. At this very moment a killer lying in an ambush in a forest behind the carriage at the left side of the road made a single shot. The bullet entered Ilia's body through the left ribs, pierced the heart and exited through the chest between the left and right nipples. Next, we present the reader with comments on the above mentioned act.

ვახტანგ გურული
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
წმ ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი,
საქართველო, თბილისი
ORCID ID: 0000-0002-6352-7307
(+995) 597 21 20 60; v.guruli@sangu.edu.ge

შესავალი

1907 წლის 30 აგვისტოს, დაახლოებით დღის 12 საათზე, თბილისიდან საგურამოში ეტლით მიმავალ ილია ჭავჭავაძესა და მის მეუღლეს, ოლღა გურამიშვილს, სოფელ წიწამურთან გზაზე (წიწამური-საგურამოს მონაკვეთზე), ტყეში, წინ გადაუდგა ოთხი შეიარაღებული მამაკაცი: ივანე (ვანო) ინაშვილი, გიგოლა (გიგლა) ბერბიჭაშვილი, გიგოლა(გიგო) მოძღვრიშვილი, და პავლე ფშავლიშვილი (აფციაური). ორი ტერორისტი, გიორგი (ლომა)ხიზანაშვილი და ლადო ფეიქრიშვილი (ჩირიკაშვილი) გზიდან მარჯვნივ, ტყეში, მაღლობზე იდგნენ და ილია ჭავჭავაძის ეტლის მოძრაობას უთვალთვალებდნენ. კიდევ ერთი ტერორისტი, ილია ჭავჭავაძის მეეტლე თევდორე (თედო) ლაბაური ეტლის კოფოზე იჯდა. მისი მოვალეობა ეტლის გაჩერება იყო. ილია ჭავჭავაძესთან ერთად მოკლეს მისი მცველი იაკობ ბითარიშვილი (ბითარაშვილი). თავში ბლაგვი საგნის (შაშხანის კონდახის) რამდენჯერმე ჩარტყმით მძიმედ დაჭრეს ოლღა გურამიშვილი.

ილია ჭავჭავაძის ცხედარი მკვლელობის ადგილიდან საგურამოში გადაასვენეს. 1907 წლის 31 აგვისტოს ილიას გვამი საგურამოში მისავე სახლში დაათვალიერა, გაკვეთა და შესაბამისი აქტი შეადგინა დუშეთის მაზრის ექიმმა აბელ იაშვილმა. გაკვეთას ესწრებოდნენ: დუშეთის მაზრის გამომძიებელი ვ. ე. დილევსკი, მოწმეები, გლეხები სოფელ გურამიანთ-კარიდან სვიმონ ჩიხაშვილი და ვასილ ნარიმანიძე, ილია ჭავჭავაძის გვამის დათვალიერებისა და გაკვეთის აქტის რუსულ დედანსა და მის ქართულ თარგმანს აქვე ვთავაზობთ მკითხველს.

ილია ჭავჭავაძის გვამის დათვალიერებისა და გაკვეთის აქტი გამო-ძიებისათვის უაღრესად საყურადღებო დოკუმენტი უნდა ყოფილიყო, რაც სხვადასხვა მიზეზის გამო არ მომხდარა. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამომძიებელ ნ. ფ. ილიაშენკოს ყურადღება უნდა მიექცია იმისათვის, რომ ექიმ აბელ იაშვილის გვამის დათვალიერების შედეგები და ექიმის მიერ გაკეთებული დასკვნა ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. გამომძიებელი უნდა მიმხვდარიყო, რომ იმ ოთხი ტერორისტიდან, რომლებიც ტყიდან გზაზე გამოვიდნენ და ეტლი გააჩერეს, ილია არცერთს არ მოუკლავს. ისინი კოფოდან გადამხტარ იაკობ ბითარიშვილს დაედევნენ და მოკლეს კიდეც. ეტლი გაჩერდა თუ არა, ილია ფეხზე წამოდგა. ამ მომენტში ეტლის უკან, გზის მარცხენა ნაპირზე, ტყეში, ჩასაფრებაში მყოფმა ქილერმა ერთადერთი ტყვია გაისროლა, რომელიც ილიას სხეულში შევიდა მარცხენა ნეკნების მხრიდან, გაიარა გული და გამოვიდა მკერდში, მარცხენა და მარჯვენა ძუძუს დვრილებს შორის. ქვემოთ მკითხველს ვთავაზობთ კომენტარებს ხსენებულ აქტზე.

* * *

1907 წ. 31 აგვისტო. ილია ჭავჭავაძის გვამის დათვალიერებისა და გაკვეთის აქტი

Акт

1907-го года, Августа 31-го дня. Я, Следователь Душетскаго уезда, прибыв в сел. Гурамианткари, произвел там в присутствии нижепоименованных понятых через Душетскаго уезднаго врача Яшвили вскрытие трупа князья Ильи Григорича Чавчавадзе.

Наружный осмотр

Покойник лежит на столе в своем собственном доме. На нем жилет из серого трико, брюки из той же материи, рубаха цветная и белые кальсоны. На шее накрахмаленный белый воротник, вокруг которого лежит цветной батистовый галстук; бант галстука развязан. На левой руке накрахмаленная манжетка снята, на правой руке манжетка сдернута с руки и висит запонкой на рубахе. Ноги обуты в полусапожки и носки. Жилет, рубаха и манжетка залиты кровью. На лице и на лбу имеются полосы крови. Верхняя часть груди, левый бок и обе кисти рук также окрававлены. Телосложение покойного правильное; живот выдается вперед. Половые части подвязаны суспензорием; в левой мошонке имеется небольшая грыжа. Прочие части тела устроены правильно.

В груди имеется сквозная огнестрельная рана, одно отверстие которой расположено тотчас внутри от правого соска, а другое на задней стенке левой подмышки. Первое овальной формы, наибольший размер его на коже три сантиметра. Второе отверстие на коже подмышки уже; оно проходимо для мизинца руки. На левой части лба имеется ушибленная рана овальной формы, проникающая в глубину до кости; длина ея 4 сант., ширина 2 сант. Тут кость пробита и опущена левой своею частью вниз. Набольший диаметр пробитой кости $1^{1}/_{2}$ вершка. Верхний, левый и нижний края ея лежат ниже уровня свода черепа, а правая часть соединена с ним; соединение не прочное, ибо кость имеет подвижность. Края кожной раны измяты, цвета черного и сухи. Под ними на кости имеются тонкие наслоения излившейся крови. Над правой бровью расположена другая ушибленная рана такого же свойства, как первая. Она также проникает в глубину до кости; но последняя не повреждена; длина этой раны три сантиметра, ширина один сантиметр.

Других повреждений на теле нет. Посмертных пятен и других начальных признаков разложения также не имеется. Следы окоченения остались еще в руках.

Внутренний осмотр

Полость груди. Подкожная клетчатка в области огнестрельной раны груди черного цвета от излившейся тут крови. Пятое правое ребро у соединения его с грудной костью раздроблено. Затем пуля прошла через сердечную сумку, через верхние части обоих желудочков сердца и через нижнюю долю левого легкого и вышла наружу в области левой подмышки. Верхние части стенок обоих желудкочков сердца обрашены в клочья. Обьем сердца не увеличен, но стенки его утончены и подверглись жировому перерождению. Слой жира стенок правого желудочка составляет ¾ ея толщины. В левом желудочке передняя

стенка его близь верхушки имеет толщину сухой бычачьей кожи; она кроме того плона, белесоватого цвета и слегка выпячена к переди. При давлении пальцем на эту часть стенки сердца, она западает во внутрь и при снятии пальца выпадает обратно, как стенка резинового мяча. Микроскопический вид этого аневризматического выпячивания напоминает плотное и упругое соединительно-тканное образование. Правое легкое имеет плевритические прирошения с боковой частью грудной стенки; левое лежит свободно. Степень пушистости и упругости обоих легких понижена. Воздухом они не переполнены. Нижние части обоих легких совершенно безвоздушны, вседствие чего нижние края их приняли вид плоского придатка, имеющего плотность кожи. В разрезе цвет легких беловатосерый. Грудная полость содержит большое количество сгущенной и жидкой крови. На стенке живота лежит толстый слой жира. Вследствие ясности причины смерти осмотр полостей головы и живота не произведен.

Душетинский уездный врач **Яшвили**. Следователь **В.Е. Дылевский**. Понятые: жит. сел. Гурамианткари, крестьяне **Свимон Чихашвили** и **Василий Нариманидзе**, оба не грамотны.

Мнение. На теле Ильи Григоровича Чавчавадзе три раны: одна огнестрельная, проходящая насквозь через грудь. Канал раны имеет направление спереди назад и справа налево. Выстрел, повидимому, был направлен спереди. Смерть последовала от етой раны через повреждение сердца. Две раны, расположенные в области безволосисой части кости, причинены тупым орудием. Одна из этих ран, та, которая, осложнена повреждением черепной кости, относится к тяжким и угрожающим жизни повреждениям. Другая рана должна быть причислена к разряду легких повреждений.

Сердце и легкие у покойного Ильи Чавчавадзе оказались нездоровыми. Мускулатура сердца подверглась жировому перерождению и передняя стенка левого желудочка имела аневризматическое расширение. В протоколе осмотра я забыл упомянуть, что эндокардии левого желудочка был утолщен, серо-белый цвет его резко выдавался по сравнению с эндокардием правого желудочка; последний имел мясной цвет. Поверхность эндокардия в левом желудочке, равно полулунные клапаны и внутренняя оболочка аорты были гладки, без шероховатостей, но основания полулунных клапанов казались утолщенными и плотными. Недолго оставалось жить семидесятилетнему поэту старцу. Его больное сердце поражено вражеской пулею. Оно билось бы может быть еще несколько месяцев, или год.

Что касается огнестрельного оружия, которым был убит кн. Илья Григорич Чавчавадзе, то нельзя сказать ничего определенного, какое было это оружие. Вместе с кн. Чавчавадзе был убит его прислуга. Пуля, удаленная из тела его круглая. По величине она подходит к тем пулям, которым заряжались кремневые ружья. Отверстия огнестрельных ран у кн. Чавчавадзе и его прислуги по величине и по некоторым другим свойствам приблизительно одинаковы. Зная из практики вскрытия мертвых тел свойства ран от берданки, от трехлинейной винтовки нового образца и от простых нескоростных ружей, я пологаю, что кн. Чавчавадзе убит ружьем последней категории.

Душетинский Уездный врач А. Яшвили

(გამოქვეყნებულა: გუგუშვილი., 1938, გვ. 38-41; შარაძე, 1990, გვ. 328-329).

1907 წ. 31 აგვისტო. ილია ჭავჭავაძის გვამის დათვალიერებისა და გაკვეთის აქტი

31 აგვისტო, 1907 წ. აქტი. მე, დუშეთის მაზრის გამომძიებელი, გამოვცხადდი სოფ. გურამიანთკარში, ქვემოთ აღნიშნული მოწმეების თანდასწრებით და დუშეთის მაზრის ექიმის მეოხებით ჩავატარე თავად ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის გვამის გაკვეთა.

გარეგანი დათვალიერება

მიცვალებული (ცხედარი) ასვენია მაგიდაზე საკუთარ სახლში. აცვია რუხი ფერის ჟილეტი და შარვალი, ფერადი კვართი და თეთრი საცვალი, კისერზე გახამებული თეთრი საყელო, რომლის გარშემო დევს ბაფთა - გახსნილი ფერადი ბატისტის ყელ-სახვევი. მარცხენა ხელზე გახამებული მანჟეტი მოხსნილია, მარჯვენაზე მანჟეტი მოძრობილია და ჩამოკიდებულია საკინძის კვართზე. ფეხზე აცვია წინდები და დაბალყელიანი ჩექმები. ჟილეტი, კვართი და მანჟეტი გასისხლიანებულია. სახეზე და შუბლზე სისხლის ზოლები აქვს. გასისხლიანებულია აგრეთვე გულმკერდის ზედა ნაწილი, მარცხენა გვერდი და ორივე ხელის მტევნები. მიცვალებული სწორი აგებულებისაა; მუცელი წინაა წამოწეული. სასქესო ორგანოები შეხვეულია სუსპენზორიით. სხეულის დანარჩენი ნაწილები სწორი აგებულებისაა.

გულმკერდის არეში აღენიშნება ცეცხლნასროლი გამჭოლი ჭრილობა, რომლის ერთი ხვრელი მოთავსებულია მარჯვენა ძუძუს დვრილიდან ოდნავ შიგნით, ხოლო მეორე - მარცხენა იღლიის უკანა კიდეზე; პირველი ოვალური ფორმისაა, მისი უდიდესი ზომა კანზე სამი სანტიმეტრია, მეორის ზომა იღლიის კანზე შედარებით მცირეა, გამავალია ნეკა თითისათვის. შუბლის მარცხენა ნახევარში აღინიშნება ოვალური ფორმის დაჟეჟილი ჭრილობა, დამავალი ძვლამდე, ოთხი სანტიმეტრის სიგრძის, ორი სანტიმეტრის სიგანის. აქ ძვალი ჩატეხილია და მარცხენა ნაწილით ჩაწეულია ქვემოთ. ჩატეხილი ძვლის უდიდესი დიამეტრი ერთნახევარი გოჯია, მოტეხილობის ზედა, მარცხენა და ქვედა კიდეები მდებარეობს ქალას სარქველზე დაბლა, ხოლო მარჯვენა ნაწილი შეერთებულია ქალას სარქველთან, შეერთება არამტკიცეა, რის გამოც მოტეხილი ძვალი მოძრავია. კანის ჭრილობის კიდეები არასწორია, მოშავო ფერისაა და მშრალი. მის ქვეშ ძვალზე აღინიშნება გამოყოფილი სისხლის თხელი ფენა. მარჯვენა წარბს ზემოთ მდებარეობს მეორე დაჟეჟილი ჭრილობა, ისეთივე ხასიათის, როგორიც პირველი. ეს ჭრილობა აღწევს ძვლამდე, მაგრამ ძვალი დაზიანებული არ არის. ამ ჭრილობის სიგრძეა სამი, სიგანე ერთი სანტიმეტრი.

სხვა დაზიანებები სხეულზე არ არის. გვამური ლაქები და სხვა ნაადრევი გახრწნის ნიშნები არ აღინიშნება. გაშეშების კვალი ჯერ კიდევ შერჩენილია ხელებში...

შინაგანი დათვალიერება

გულმკერდის ღრუ. გულმკერდზე ცეცხლნასროლი ჭრილობის უბანში კანქვეშა ქსოვილი მოშავო ფერისაა გამონადენი სისხლისაგან. მარჯვენა მეხუთე ნეკნის მკერდის ძვალთან შეერთების ადგილი დამსხვრეულია. შემდეგ ტყვიამ გაიარა გულის პერანგში, გულის პარკუჭების ზედა ნაწილებში და მარცხენა ფილტვის ქვედა წილის გავლით გამოვიდა გარეთ მარცხენა იღლიის მიდამოში. გულის ორივე პარკუჭის კედლების ზედა ნაწილები გარდაქმნილია ნაფლეთებად. გულის მოცულობა არ არის გადიდებული, მაგრამ მისი კედლები გათხელებულია და გადაგვარებულია ცხიმოვან ქსოვილებად, მარჯვენა პარკუჭის კედლის სისქის სამ მეოთხედს ცხიმი შეადგენს, მარცხენა პარკუჭის წინა კედელს მწვერვალთან ახლოს აქვს ხარის გამხმარი ტყავის სისქე, ის მკვრივია, მოთეთრო ფერისაა და წინ გამობერილია მცირედ. გულის კედლის ამ ნაწილზე თითის დაჭერით ეს უბანი ვარდება შიგნით და თითის აღებით გარეთ, როგორც რეზინის ბურთი. მიკროსკოპულად ანევრიზმული გამობერილობა მოგვაგონებს მკვრივ და დრეკად შემაერთქსოვილოვან წარმონაქმნს. მარჯვენა ფილტვის პლევრა შეხორცებულია გულმკერდის გვერდით კედელთან; მარცხენა მდებარეობს თავისუფლად. ორივე ფილტვის მოქნილობის და სიფაფუკის ხარისხი დაქვეითებულია, ჰაერით არ არიან გადავსებულნი. ორივე ფილტვის ქვედა ნაწილები სრულიად უჰაეროა, რის გამოც მათმა ქვედა კიდეებმა კანის სიმკვრივის ბრტყელი დანამატის სახე მიიღეს. ფილტვები განაკვეთზე მოთეთრო-მორუხო ფერისაა. გულმკერდის ღრუ შეიცავს დიდი რაოდენობით შედედებულ და თხიერ სისხლს. მუცლის კედელი შეიცავს ცხიმის სქელ შრეს. თავისა და მუცლის ღრუები არ დათვალიერდა, რადგან სიკვდილის მიზეზი ნათელია.

დუშეთის მაზრის ექიმი *იაშვილი.*

გამომძიებელი *ვ. ე. დილევსკი.*

მოწმეები: სოფ. გურამიანთკარის მცხოვრებნი, გლეხები **სვიმონ ჩიხაშვილი** და **ვასილ ნარიმანიძე**, ორივე წერა-კითხვის უცოდინარი.

მოსაზრება. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის სხეულზე სამი ჭრილობაა: ერთი ცეცხლნასროლი, გულმკერდის გამჭოლი. ჭრილობის არხი მიმართულია წინიდან უკან და მარჯვნიდან მარცხნივ. გასროლა ალბათ წინიდან მოხდა. სიკვდილი განვითარდა ამ ჭრილობისაგან გულის დაზიანების შედეგად. ორი ჭრილობა, მდებარე თავის ქალას უთმო ნაწილში, მიყენებულია ბლაგვი საგნით. ერთი ამ ჭრილობათაგანი, რომელიც გართულებულია თავის ქალას ძვლების დაზიანებით, მიეკუთვნება მძიმე და სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებას; მეორე ჭრილობა უნდა მიეკუთვნოს მსუბუქ დაზიანებათა ხარისხს.

გარდაცვლილ ილია ჭავჭავაძეს გული და ფილტვები ჯანმრთელი არ ჰქონდა. გულის კუნთი გადაგვარებულია ცხიმოვან ქსოვილად და მარცხენა პარკუჭის წინა კედელი გაფართოებულია ანევრიზმულად. აღწერილობით ნაწილში მე დამავიწყდა აღმენიშნა, რომ მარცხენა პარკუჭის ენდოკარდი გასქელებულია, მორუხო-მოთეთრო ფერისაა, მკვეთრად გამოირჩევა მარჯვენა პარკუჭის ენდოკარდისაგან, უკანასკნელს აქვს ხორცის ფერი

შესახედაობა. მარცხენა პარკუჭის ენდოკარდის ზედაპირი, ნახევარმთვარისებური სარქველები და აორტის შიდა გარსი გლუვია, ხორკლების გარეშე, ნახევარმთავრისებური სარქვლების ფუძეები გასქელებულია და მკვრივი. დიდი ხნის სიცოცხლე არ დარჩენოდა სამოცდაათი წლის მხცოვან პოეტს. მისი ავადმყოფი გული განგმირულია მტრის ტყვიით. ამ გულს შეიძლება ეძგერა კიდევ რამდენიმე თვეს, ან წელიწადს.

რაც შეეხება ცეცხლსასროლ იარაღს, რომლითაც მოკლეს თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, არ შეიძლება იმის დანამდვილებით თქმა, თუ როგორი იყო ეს იარაღი. თავად ჭავჭავაძესთან ერთად მოკლული იქნა მისი მსახური, რომლის სხეულიდან ამოღებული ტყვია მრგვალია, სიდიდით ჰგავს ტყვიას, როგორითაც იტენება კაჟიანი თოფები. თავად ჭავჭავაძისა და მის მსახურისათვის ცეცხლმსროლელი იარაღით მიყენებული ჭრილობების ხვრელები სიდიდით და ზოგიერთი სხვა თავისებურებებით დაახლოებით ერთნაირია. გვამების გაკვეთის პრაქტიკით ვიცით რა ბერდანით, ახალი ნიმუშის სამხაზიანი შაშხანით და უბრალო არასწრაფმსროლელი იარაღით მიყენებულ ჭრილობათა თავისებურებანი, მე ვვარაუდობ, რომ თავადი ჭავჭავაძე მოკლულია უკანასკნელი სახეობის იარაღით.

დუშეთის მაზრის ექიმი იაშვილი.

(გამოქვეყნებულა: შარაძე, 1990, გვ. 320-322).

გურამ შარაძე. ილია ჭავჭავაძე. 1837-1907. ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება, ფოტომატიანე. ორ წიგნად. წიგნი II. თბილისი, 1990, გვ. 320-322.

* * *

კომენტარები

1. ილია ჭავჭავაძის სხეულის დათვალიერებისა და გაკვეთის აქტში ვკითხულობთ: "გულმკერდის არეში აღენიშნება ცეცხლნასროლი გამჭოლი ჭრილობა, რომლის ერთი ხვრელი მოთავსებულია მარჯვენა ძუძუს დვრილიდან ოდნავ შიგნით, ხოლო მეორე - მარცხენა იღლიის უკანა კიდეზე; პირველი ოვალური ფორმისაა, მისი უდიდესი ზომა კანზე სამი სანტიმეტრია, მეორის ზომა იღლიის კანზე შედარებით მცირეა, გამავალია ნეკა თითისათვის."(rusul dedanSi: "В груди имеется сквозная огнестрельная рана, одно отверстие которой расположено тотчас внутри от правого соска, а другое на задней стенке левой подмышки. Первое овальной формы, наибольший размер его на коже три сантиметра. Второе отверстие на коже подмышки уже; оно проходимо для мизинца руки").

უნდა აღინიშნოს, რომ ექიმ აბელ იაშვილს ილია ჭავჭავაძის გვამის გარეგანი დათვალიერება პროფესიონალისთვის დამახასიათებელი სიზუსტით ჩაუტარებია. ამ ფონზე სრულიად მოულოდნელად ექიმი გამოთქვამს მოსაზრებას, რომელიც ეწინააღმდეგება მის მიერვე აღწერილ სხეულის დათვალიერების შედეგებს: **"მოსაზრება**. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის სხეულზე სამი ჭრილობაა: ერთი ცეცხლნასროლი, გულმკერდის გამჭოლი. ჭრილობის არხი მიმართულია წინიდან უკან და მარჯვნიდან მარცხნივ. გასროლა ალბათ წინიდან მოხდა. სიკვდილი განვითარდა ამ ჭრილობისაგან გულის დაზიანების შედეგად". (რუსულ დედანში: **"Мнение**. На теле Ильи

Григоровича Чавчавадзе три раны: одна огнестрельная, проходящая насквозь через грудь. Канал раны имеет направление спереди назад и справа налево. Выстрел, поводимому, был направлен спереди. Смерть последовала от этой раны через повреждение сердца”). ცხადია, აბელ იაშვილს და გამომძიებელ ვ. ე. დილევსკის ცეცხლნასროლი ჭრილობით გარდაცვლილი ადამიანის გვამი ადრეც მრავალგზის ექნებოდათ დათვალიერებული. ამიტომ სრულიად მოულოდნელია მათ მიერ გაკეთებული მცდარი დასკვნა. აქტში აღნიშნულია, რომ ილიას სხეულზე შეინიშნება ორი ცეცხლნასროლი ჭრილობა: მარცხენა იღლიაში, ნეკნების არეში, ნეკა თითისათვის გამავალი და გულ-მკერდის არეში სამი სანტიმეტრის ზომისა. მიუხედავად ამისა, აბელ იაშვილის მოსაზრებით, ტყვია ილიას სხეულში შევიდა მკერდიდან, რომლის მიმართულება იყო წინიდან უკან, მარცხნიდან მარჯვნივ. ექიმს უნდა სცოდნოდა ელემენტარული ჭეშმარიტება: ტყვია ნაგანიდან, მაუზერიდან, შაშხანიდან, ბერდანიდან და სხვა იმდროინდელი იარაღიდან ადამიანის სხეულში შესვლისას ტოვებდა მცირე ზომის ხვრელს, ხოლო სხეულიდან გამოსვლისას გამოგლეჯდა სხეულს და დატოვებდა გაცილებით დიდ ხვრელს. ილიას სხეულზე მცირე ზომის ხვრელი (ნეკა თითისათვის გამავალი), აქტის მიხედვით, მარცხენა იღლიაში, ნეკნების არეში ფიქსირდებოდა, ხოლო უფრო დიდი ხვრელი, გამონაგლეჯი, სამი სანტიმეტრის ზომისა – მკერდის არეში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძისათვის წინიდან კი არ უსვრიათ, საითაც ის ოთხი ტერორისტი იდგა, რომელთაც ეტლი გააჩერეს, არამედ ზურგიდან. ამიტომაა, რომ მარცხენა იღლიაში, ნეკნების არეში ხვრელი ვიწროა, მკერდის არეში კი - გაცილებით დიდი. პროფესორმა გურამ შარაძემ 1987 წელს თავის წიგნში დაბეჭდა ექსპერტ ბ. კილასონიას მიერ ექიმ აბელ იაშვილის მოსაზრების საწინააღმდეგო დასკვნა. ბ. კილასონია არ ეთანხმება აბელ იაშვილის მოსაზრებას და დაასკვნის: “ჭრილობის არხის მიმართულებაა მარცხნიდან მარჯვნივ, უკანიდან წინ, ე. ი. ილიასათვის ტყვია ზურგიდან უსვრიათ” .

ჩვენ ვერ დავუშვებთ იმას, რომ დუშეთის მაზრის ექიმმა აბელ იაშვილმა და მაზრის გამომძიებელმა ვ. ე. დილევსკიმ ვერ დაადგინეს, საიდან ესროლეს ილია ჭავჭავაძეს - წინიდან თუ ზურგის მხრიდან. აშკარაა, რომ ექიმსა და გამომძიებელზე გავლენას ახდენდნენ. ვინ შეიძლებოდა დაინტერესებული ყოფილიყო ექიმის მიერ ჩადენილი სიყალბით? ამგვარი დასკვნა ხელს აძლევდა: 1. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დამკვეთსა (რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს) და მკვლელობის ორგანიზატორებს (ქართველ სოციალ-დემოკრატებს). მკვლელობის ორგანიზატორებმა, რო_მელთაც კარგად იცოდნენ, სად გააჩერებდნენ ეტლს ტყეში ჩასაფრებული ტერორისტები, მკვლელობის ადგილზე ფარულად მიიყვანეს და ეტლის გაჩერების სავარაუდო ადგილიდან, გზის მარცხენა ნაპირზე, ტყეში ჩაასაფრეს პროფესიონალი ქილერი. სწორედ ქილერის მიერ ნასროლი ტყვია მოხვდა ეტლში ფეხზე წამომდგარ ილია ჭავჭავაძეს, მარცხენა ნეკნების არეში, გაიარა გული და გამოვიდა მკერდში, მარცხენა და მარჯვენა ძუძუს დვრილებს შორის. ცხადია, ილია ჭავჭავაძის მოკვლა შეეძლო იმ ოთხ ტერორისტსაც, რომელთაც ეტლი გააჩერეს. მაშინ, რა საჭირო იყო

მკვლელობის სავარაუდო ადგილზე ხსენებული ოთხი ტერორისტისაგან ფარულად, პროფესიონალი ქილერის მიყვანა? ამას ერთადერთი ახსნა აქვს: მკვლელობის ორგანიზატორების გეგმით, ილია ჭავჭავაძე მასზე განაწყენებულ გლეხებს უნდა მოეკლათ. მკვლელობის ორგანიზატორებს სჭირდებოდათ აუცილებელი ფაქტი ადგილობრივი გლეხების მიერ ილია ჭავჭავაძის ეტლის გაჩერებისა. ეს ფუნქცია კარგად შეასრულა ტყიდან გამოსულმა ოთხმა ტერორისტმა, რომელთაგან ივანე (ვანო) ინაშვილი საგურამოს ყოფილი მამასახლისი იყო, გიგოლა (გიგო) მოძღვრიშვილი - ილიას მამულში მომუშავე დაქირავებული მუშა, პავლე ფშავლიშვილი - ილიას საგურამოს სახლის მცველი. ილიას მოკვლას მკვლელობის ორგანიზატორები მათ ვერ ანდობდნენ. იყო იმის საშიშროება, რომ გზაზე გამოჩენილიყვნენ დუშეთიდან მცხეთაში მიმავალი სტრაჟნიკები (ჩაფრები) ან კაზაკები(სოფელ წიწამურთან იყო მოწყობილი კაზაკთა საგუშაგო). მკვლელობისათვის ხელი უნებლიედ შეეძლოთ შეეშალათ შემთხვევით მგზავრებსაც. თუ გზაზე ჩაფრები, კაზაკები ან მგზავრები გამოჩნდებოდნენ, ცხადია, ტყეში ჩასაფრებული ტერორისტები თავს არ გამოიდებდნენ და ჩუმად გაეცლებოდნენ იქაურობას. ტერორისტებმა კარგად იცოდნენ, რომ თბილისის გუბერნიასა და ზაქათალის ოკრუგში სამხედრო მდგომარეობა იყო გამოცხადებული, რის გამოც რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრის მკვლელობისათვის ერთადერთი სასჯელი - ჩამოხრჩობა ელოდათ. ჩვენ ზემოთ აღვნნიშნეთ, რომ მკვლელობის ორგანიზატორ სოციალ-დემოკრატებს აუცილებლად სჭირდებოდათ ფაქტი ადგროლობრივი გლეხების მიერ ილიას ეტლის გაჩერებისა. ამ ფაქტს ძიება აარსწორ გზაზე უნდა დაეყენებინა, მაგრამ ვის უნდა დაედასტურებინა, რომ ილიას ეტლი ტყიდან გამოსულმა ადგილობრივმა გლეხებმა გააჩერეს, რომ მათვე მოკლეს ილიას მცველი იაკობ ბითარიშვილი, თავის არეში უმძიმესი ჭრილობები მიაყენეს ილიას მეუღლეს. ყოველივე ეს უნდა დაედასტურებინა თედო ლაბაურს, რომელიც ტერორისტული აქტის ერთ-ერთი მონაწილე იყო. ძიების პროცესში თედო ლაბაური ასეც მოიქცა.

თუ აქტში აბელ იაშვილი სიმართლეს ჩაწერდა, მაშინ გამოძიება უნდა დაინტერესებულიყო: ვინ იყო ის ადამიანი, ვინც ილიას ზურგის მხრიდან ერთადერთი ტყვია ესროლა? ეს კი სოციალ-დემოკრატების ვერსიას ილიას გლეხების მიერ მოკვლის შესახებ საფუძველს აცლიდა. თუ ილია ეტლის წინ გაჩერებულ გლეხებს არ მოუკლავთ, მაშინ გამოძიებას უნდა მიეკვლია იმ ადამიანისათვის, ვინაც ილიას ზურგიდან ესროლა. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამჟღავნებულიყო ის ფაქტი, რომ მკვლელობის ორგანიზატორებს ტყეში ჩასაფრებული ჰყავდათ პროფესიონალი ქილერი. ამ გზით ისინი შეკვეთილი პოლიტიკური მკვლელობის კვალის დაფარვას ცდილობდნენ. ეს იყო აბელ იაშვილის მიერ ჩადენილი სიყალბის ერთადერთი მიზეზი.

2. ადგილობრივი გლეხების მიერ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ვერსია ხელს აძლევდა კავკასიის სამეფისნაცვლოს ადმინისტრაციულ ორგანოებს, ძალოვან სტრუქტურებსა და სპეცსამსახურებს (რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს, რუსეთის იმპერიის

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის დაცვის განყოფილების (ოხრანკის) თბილისის რეგიონალურ ორგანიზაციას (თბილისის ოხრანკას), თბილისის პოლიცმაისტერის სამმართველოს, დუშეთის მაზრის მმართველობას). თუ რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრი შეკვეთილი პოლიტიკური მკვლელობის მსხვერპლი გახდებოდა, სახელისუფლებო ორგანოებს მთელი სიმკაცრით მოეთხოვებოდათ, რადგან სახელმწიფო საბჭოს წევრის სიცოცხლე ვერ დაიცვეს. თუ ილია ჭავჭავაძეს მასზე განაწყენებული ადგილობრივი გლეხები მოკლავდნენ, პასუხისმგებლობა გაცილებით ნაკლები იქნებოდა. პოლიტიკური მკვლელობა მზადდებოდა დიდხანს (გადაწყვეტილების მიღება, მკვლელობის ორგანიზატორების შერჩევა, ტერორისტების შერჩევა, ტერორისათვის აუცილებელი თანხის მოძიება, კვალის დაფარვისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება და სხვ.), რაც მკვლელობის პრევენციის შესაძლებლობას ქმნიდა. რაც შეეხება გლეხების მიერ მკვლელობას, მას გაცილების ნაკლები დრო სჭირდებოდა, და, აქედან გამომდინარე, მკვლელობის პორევენციაც არ იყო ადვილი.

ამრიგად, ექიმ იაშვილის დასკვნა, რომ ილია ჭავჭავაძე მოკლეს ადგილობრივმა გლეხებმა კაჟიანი თოფიდან წინიდან ნასროლი მკერდის არეში შემავალი ტყვიით, სავარაუდოა, რომ წარმოადგენდა კავკასიის სამეფისნაცვლოს ადმინისტრაციის ან ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორების ზეგავლენის (გამორიცხული არ არის შანტაჟისა და მუქარის) შედეგს.

3. უფრო გაუგებრად ჩანს ექიმ იაშვილის მეორე დასკვნა: “Что касается огнестрельного оружия, которым был убит кн. Илья Григорич Чавчавадзе, то нельзя сказать ничего определенного, какое было это оружие. Вместе с кн. Чавчавадзе был убит его прислуга. Пуля, удаленная из тела его круглая. По величине она подходит к тем пулям, которым заряжались кремневые ружья. Отверстия огнестрельных ран у кн. Чавчавадзе и у его прислуги по величине и по некоторым другим свойствам приблизительно одинаковы. Зная из практики вскрытия мертвых тел свойства ран от берданки, от трех линейной винтовки нового образца и от простых нескорострельных ружей, я полагаю, что кн. Чавчавадзе убит ружьем последней категории“. როგორც ვხედავთ, ექიმი აბელ იაშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, თუმცა არა კატეგორიულად, რომ ილია ჭავჭავაძე მოკლული იქნა არა თანამედროვე იარაღიდან (სამხაზიანი შაშხანიდან ან ბერდანიდან), არამედ კაჟიანი თოფიდან. კაჟიანი თოფი იტენებოდა არა ისეთი ტყვიით, რომლითაც შაშხანა და ბერდანი, არამედ ჩვეულებრივი ბურთულის ფორმის ტყვიით, რომელიც ადამიანის სხეულზე ტოვებდა სულ სხვაგვარ კვალს, არა ისეთს, როგორიც ილია ჭავჭავაძის სხეულზე აღინიშნებოდა. სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაშიც აბელ იაშვილი ისევ ზემოხსენებული ორი დაინტერესებული მხარიდან რომელიმეს გავლენით გამოთქვამდა მოსაზრებას. თუ ილია ჭავჭავაძე კაჟიანი თოფით მოკლეს, მაშინ მკვლელობა გლეხების ჩადენილი უნდა ყოფილიყო, რადგან პროფესიონალი ქილერები კაჟიან თოფს არ იყენებდნენ. ამ შემთხვევაშიც შეკვეთილი პოლიტიკური მკვლელობა უნდა გამორიცხულიყო.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის სხეულის დათვალიერებისა და გაკვეთის აქტი და ექიმ აბელ იაშვილის ორი მოსაზრება (ილია მოკლეს მკერდის არეში შემავალი ტყვიით, მკვლელობის იარაღი შეიძლება ყოფილიყო კაჟიანი თოფი), სავსებით აძლევდა ხელს როგორც კავკასიის სამეფისნაცვლოს ადმინისტრაციას, ისე ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დამკვეთსა და ორგანიზატორებს. სამწუხაროდ, ოფიციალურმა გამოძიებამ სწორედ იმ ვერსიას დაუჭირა მხარი, რომ ილია ჭავჭავაძე მასზე განაწყენებულმა ადგილობრივმა გლეხებმა მოკლეს და მკვლელს იმ ოთხ ტერორისტში დაუწყეს ძებნა, რომელთაც ეტლი გააჩერეს. ქილერმა კი, რომელმაც საბედისწერო გასროლა განახორციელა, ისარგებლა შექმნილი აურზაურით და უხმაუროდ გაეცალა იქაურობას. მასზე ეჭვი არც ძიებას და არც სასამართლოს არ მიუტანია.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

gugushvili, p. (1938) *ilia chavchavadzis mkvleloba, sagamomdzieblo masalebi.* tbilisi. (გუგუშვილი, პ. (1938). *ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. საგამომძიებლო მასალები.*) თბილისი.

sharadze, g. (1990). *ilia chavchavadze. 1837-1907. tskhovreba, mogvatseoba, shemoqmedeba. potomatiane.* or tsignad. tgsigni II. tbilisi. (შარაძე, გ. (1990). *ილია ჭავჭავაძე. 1837-1907. ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება, ფოტომატიანე.* ორ წიგნად. წიგნი II. თბილისი).